

განმარტებითი ბარათი
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების
და დამატებების შეტანის თაობაზე“

საქართველოს თავდაცვის სფეროში მიმდინარე რეფორმების გათვალისწინებით წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია სამხედრო სამსახურის გავლის წესის სრულყოფა.

მოქალაქეთა რეგისტრაციის განმახორციელებელი ორგანოების იუსტიციის სამინისტროსათვის დაქვემდებარების შემდგომ, აუცილებელია ცვლილების შეტანა კანონის მე-9 მუხლში.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვემდებარედ განისაზღვრა რიგ დანაშაულთა გამოძიება. ამდენად, კანონის მე-9 მუხლის თანახმად, მოქალაქის გამოსაეღენად, რომელიც თავს არიდებს სამხედრო სამსახურში ან სამხედრო შეკრებაზე გაწვევას, ანდა სამხედრო სამსახურის ან სამხედრო შეკრების გავლას, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად შესაბამის ღონისძიებებს მიზანშეწონილია ატარებდეს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტიც.

აღნიშნულის გათვალისწინებით კანონის მე-9 მუხლს ემატება მე-10 პუნქტი.

კადეტთა კორპუსის გაუქმებასთან დაკავშირებით ამოღებულ უნდა იქნეს კანონის მე-18 მუხლი.

კანონის მე-19 მუხლში სიტყვა „შესაბამისი“ შეიცვალა სიტყვით „ოფიცრის“ ვინაიდან სამხედრო ძალების რეზერვის კვალიფიციურებული რეზერვისტებით დაკომპლექტების მიზნით მოქალაქეები მომზადებას უნდა გადიოდნენ რეზერვის ოფიცრის პროგრამით, ერთი წლის ვადით.

თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეორგანიზაცია და რეფორმები ბუნებრივია მოითხოვს საკადრო პილიტიკის განხორციელებისათვის მოქნილი საკანონმდებლო ბაზის არსებობას.

ამ კუთხით ცვლილებები შედის კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტებში.

წარმოდგენილი კანონპროექტი, არ იწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.